



Caucasus  
Talks

# სარჩევი

<b>მანიფესტი</b>	<b>2</b>
ეკონომიკური უთანასწორობა	2
ეკოლოგია	3
ადამიანის უფლებები	3
ეთნიკური ნაციონალიზმი	4
გეოპოლიტიკური ინტრიგები	4
კულტურული მემკვიდრეობის დაცვა	4
სამეგობლო	5
<b>დიალოგის პრინციპები</b>	<b>6</b>
არავინ იცის ყველაფერი	6
ვისაუბროთ თუ არ ვისაუბროთ?	6
მოუესმინოთ "მეორე მხარეს"	6
დელიბერაციული დემოკრატია	6
<b>ჩვენი ხედვა</b>	<b>7</b>

## მანიფესტი

ათწლეულების განმავლობაში სამხრეთ კავკასიას პოლიტიკურად სამი ერი-სახელმწიფო (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) მართავს. თუმცა, რეგიონული თანამშრომლობა ამ ქვეყნებს შორის მწირია. ერი-სახელმწიფოს პარადიგმა, სახელმწიფოთაშორისი ომები და შიდა კონფლიქტები ხელს უშლის რეგიონის ხალხებს ერთიანი მიდგომით გადაჭრან საერთო პრობლემები. სამიარო პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები ჩვენი საერთო ისტორიის და გეოგრაფიის მემკვიდრეობაა, და, შესაბამისად, ოდენ ლოგიკურია, მათ ერთად გავემკლავდეთ. ერი-სახელმწიფოს ხისტი პარადიგმა ჩვენს საერთო პრობლემებს ეფექტურად ვერ აგვარებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია "ხანგრძლივი კონფლიქტები", რომელთაც ბოლო არ უჩანს.

ჩვენ გვჯერა, რომ საერთო პრობლემების გადაჭრის ერთადერთი გზა ღია და ინფორმირებული დიალოგია. კავკასიური საუბრების (CaucasusTalks) მთავარი მიზანია, გახდეს პლატფორმა მათთვის, ვისაც სამხრეთ კავკასიასთან და მის მიმდებარე რეგიონთან დაკავშირებული საკითხები აღელვებს, რათა ეს საკითხები ღიად განიხილებოდეს და არ შემოიბღუდებოდეს ცალკეული ერი-სახელმწიფოს კონტექსტით. ჩვენი პლატფორმა თავს მოუყრის ახალგაზრდა აქტივისტებს, ჟურნალისტებს, მეცნიერებს და ა.შ., რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სამხრეთ კავკასიისა და მეზობელი რეგიონის ხალხებს შორის გრძელვადიან და თანმიმდევრულ დიალოგში. განსაკუთრებით გვსურს, ეს პლატფორმა იმ ახალგაზრდებს შევთავაზოთ, რომლებსაც ამ რეგიონის მომავალზე აქვთ გავლენა. ჩვენი მთავარი მიზანია ხელი შევეწყოთ რეგიონის ახალგაზრდა თაობებს, გაიციონ ერთმანეთი, რაკი ამდენი წელია, ერი-სახელმწიფოს შემბორკავი ძალაუფლება მათ ერთმანეთისგან მიჯნავს. დროდადრო, ჩვენ მოვიწვევთ ძველი თაობის აქტივისტებს და ექსპერტებს, რათა ისინიც შემოუერთდნენ პლატფორმას და ჩაერთონ შედარებით ახალგაზრდა კოლეგებთან ცოდნის გაცვლის პროცესში.

**სამხრეთ კავკასიის რეგიონის საერთო გამოწვევები:**

### ეკონომიკური უთანასწორობა

სიღარიბისა და ეკონომიკური უთანასწორობის პრობლემა მსოფლიოს ყველა სამოგალოებას უდგას. სამხრეთ კავკასიას, ამ მხრივ, საერთო ისტორია და გამოცდილება აქვს; მან ჯერ საბჭოთა ეკონომიკური პროექტი, შემდეგ კი უცაბელი ეკონომიკური ლიბერალიზაციის შოკი გამოიარა. საბჭოთა კავშირის ცენტრალიზებული, გეგმიური ეკონომიკის ჩამოშლის შემდეგ, პოლიტიკურ სარბიელზე კრიმინალ-ოლიგარქები გამოვიდნენ და მათგან ზოგიერთი ჯერაც განაგრძობს სპეკულაციურ რობინ ჰუდსებს. ამ ქვეყნებში, ქალაქებსა და სოფლებს შორის მკვეთრი განსხვავებაა, მანვე სტერეოტიპები კი, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობასთან მიმართებაში - ჯერაც აქტუალური. მთელ რეგიონში სიღარიბის დონე საგრძნობლად მაღალია,

აქა-იქ მიმოხეული უაღრესად მდიდარი ადგილებით. კორუფცია და ნეპოტიზმი, კრიმინალურ-ოლიგარქიული რეჟიმების პოლიტიკურად განმტკიცება, სუსტი ეკონომიკური პოლიტიკა, მუშათა უფლებების დარღვევა და კერძო სექტორის არასათანადო მართვა ის მნიშვნელოვანი საკითხებია, რომლებზეც რეგიონის სამოქალაქო საზოგადოება მუშაობს. ეს საკითხები ხშირად ხდება სასამართლო დავების წამოწყებისა და სოციალური მოძრაობებს შექმნის საფუძველი. კავკასიური საუბრები (CaucasusTalks) მიზნად ისახავს ღია განხილვას ყველა სფეროში, სახელმწიფო ინსტიტუტებში თუ კერძო კორპორაციებში არსებული ეკონომიკური უთანასწორობები.

## ეკოლოგია

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, სამხრეთ კავკასია შეეჩეხა სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემებს, რომელთაგან ზოგიერთიც რამდენიმე ქვეყანას ერთდროულად ეხება და, რომელთა გადაჭრაც, შესაბამისად, რეგიონულ თანამშრომლობას საჭიროებს. რეგიონში არსებული ეკოლოგიური პრობლემები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი საკითხებით: სამთო-მომპოვებლობის და ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამოწვეული დაბინძურება, ტყეების განადგურება, ბიომრავალფეროვნების დაზიანება და მდინარეების დაბინძურება. ჩვენ ვიყენებთ ტერმინ "ეკოლოგიას" და არა "გარემოს", რათა ხაზი გავუსვათ იმ ინტიმურ ურთიერთობას, რომელიც ბიოლოგიურ ორგანიზმებს (მათ შორის ადამიანებს) შორის არსებობს. ტერმინი "გარემო" დაუკავშირდა მიდგომას, რომელიც ადამიანს განიხილავს ბუნებისგან ცალკე მდგომ არსებად, რომელსაც ბუნების მხოლოდ დამორჩილება და გამოყენება სურს. ჩვენ უარვყოფთ ამ პარადიგმას. თითოეულ საზოგადოებაში, ეკოლოგიის სფეროში მოღვაწე აქტივისტები თავიანთი მთავრობების პოლიტიკის ხარვეზების შევსებას და აღნიშნული საკითხების საჯარო სფეროში წამოჭრას ცდილობენ. ზოგიერთ შემთხვევაში მათ მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწიეს. ამის მიუხედავად, რეგიონში პოლიტიკის შემქმნელები კვლავაც ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ეკოლოგიურ საკითხებს, აქტივისტებს კი მცირე მხარდაჭერა აქვთ. ჩვენი პლატფორმა იქნება სივრცე მათთვის, ვინც დაინტერესებული და ჩართულია გარემოსდაცვით საკითხებში, რათა მათაც გაამიარონ თავიანთი გამოცდილება და გამოთქვან მოსაზრებები ამ საკითხებთან დაკავშირებით. ეს საშუალებას მისცემს ეკო-აქტივისტებს მთელს რეგიონში გაეცნონ ერთმანეთს და იმ გარემოსდაცვით პრობლემებს, რომლებიც ხშირად რეგიონული ხასიათისაა.

## ადამიანის უფლებები

1991 წლიდან სამხრეთ კავკასიის სუვერენული სახელმწიფოები უამრავ კონვენციას შეუერთდნენ და ადამიანის უფლებებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებსაც გაუღეს კარი. აქედან გამომდინარე, გაჩნდა დიდი მოლოდინი, რომ თითოეულ ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ასე არ მომხდარა. განსხვავებული ხარისხითა და შინაარსით ადამიანის უფლებების სისტემური დარღვევები სამხრეთ კავკასიის თითოეულ ქვეყანაში ყოველდღიურად ხდება. ამასთან, არალიბარებულ რესპუბლიკებში მცხოვრები პირების უფლებრივი მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა, რადგანაც მათ არ აქვთ საერთაშორისო აღიარება და მათი ხმა საერთაშორისო ასპარეზზე დასმულია. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების იდეა სამხრეთ კავკასიაში

პოლიტიკის, აკადემიის და აქტივიზმის უმაღლეს დონეებზე განხილვა, ის ჯერჯერობით მასობრივად მიუწვდომელია რეგიონის მოსახლეობისთვის, რომელსაც მცირე ინფორმაცია აქვს ამ საკითხებთან დაკავშირებით და ხშირ შემთხვევაში, ვერ ახერხებს ისარგებლოს თავისი უფლებებით.

აღამიანის უფლებების სფეროში ჩვენთვის საინტერესო მიმართულებებია:

- ქალთა უფლებები
- მშრომელთა უფლებები
- ლგბტქ+ უფლებები
- სპეციალურ საჭიროებათა მქონე პირთა უფლებები
- ბავშვთა უფლებები
- ეთნიკურ-რელიგიური უმცირესობების უფლებები

## ეთნიკური ნაციონალიზმი

სამხრეთ კავკასიის სამ ძირითად ეთნიკურ ჯგუფში (აზერბაიჯანელები, სომხები და ქართველები) ეგრეთ წოდებული "ეროვნული ცნობიერების" ჩამოყალიბება წინ უძღვოდა მე-20 საუკუნეში ამ ეთნიკური იდენტობების საფუძველზე ერი-სახელმწიფოს შექმნას. ამის შემდგომ, ისეთმა ინსტიტუტებმა, როგორებიცაა მთავრობა, სკოლები და ჯარი, გაიარეს ნაციონალიზაციის პროცესი, რომელმაც ეთნიკური იდენტობები ამ ინსტიტუტებს შეურწყა. ამას შედეგად მოჰყვა სამხრეთ კავკასიაში რეალური და ხისტი ეროვნული საზღვრების გამოჩენა და წარმოდგენა, რომ თითოეულ ერი-სახელმწიფოს ცალკე ცხოვრება და უნიკალური „ეროვნული გრაექტორია“ აქვს და რომ ისინი ერთმანეთის კონკურენტები არიან. ამის ერთ-ერთი სახიფათო გამოვლინებაა საზოგადოების მილიტარიზაცია და სულ უფრო მზარდი სამხედრო ბიუჯეტები. ჩვენ ვთვლით, რომ რეალური უსაფრთხოება მიიღწევა მხოლოდ დიალოგისა და თანამშრომლობის წახალისებით და საერთო საკითხების ღიად განხილვით. საჭიროა აღვიქვათ ერთმანეთის გრაემები, ნაცვლად იმისა რომ მხოლოდ ჩვენსაბე ვკონცენტრირდეთ. ეს პროცესი მოითხოვს შევცვალოთ ჩვენი დამოკიდებულება უსაფრთხოებასთან და უფრო ნიუანსირებულად გავიაზროთ, ისტორია, რომელიც თითოეულ ერი-სახელმწიფოში ჯერაც ეროვნული გრაემებისა და ბრძოლების ჩარჩოს შიგნით განხილვა. ჩვენი პლაგფორმის ერთი-ერთი მიზანია, გაგვანგოთ ეთნიკური ნაციონალისტური იდეოლოგიის მიერ შექმნილი მითები და წავახალისოთ ახალგაზრდები, შეიქმნან უფრო დახვეწილი წარმოდგენა ეთნიკურ იდენტობებზე და გადაიაზრონ ისტორია, როგორც არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთოც. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი დისკუსიები გამოაცოცხლებს და შექმნის საერთო საზოგადოებისა და თანამშრომლობის ისეთ ნარატივებს, რომლებიც გადალახავენ ეთნიკურ/ეროვნულ მიკუთვნებულობებს.

## გეოპოლიტიკური ინტრიგები

საუკუნეების განმავლობაში, სამხრეთ კავკასია ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან დიდი იმპერიებით იყო გარშემორტყმული. რეგიონს არასოდეს დაუკარგავს სტრატეგიული მნიშვნელობა თავისი მემობლებისათვის; ბოლო ათწლეულების განმავლობაში რუსეთს, თურქეთს და, შედარებით მცირე მასშტაბით, ირანს მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გავლენა ჰქონდათ სამხრეთ კავკასიის რეგიონზე. ჩვენ გვსურს,

ყურადღებით დავაკვირდეთ ზესახელმწიფოების გავლენას რეგიონში. ჩვენ ყურადღებას ასევე მივაპყრობთ აშშ-ს, ევროკავშირისა და ჩინეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებსა და როლს რეგიონში. საერთაშორისო ურთიერთობების პარადიგმით, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები გეოპოლიტიკური ალიანსების ჩამოყალიბებისკენ ისწრაფვიან ეროვნული ინტერესების განხორციელების მიზნით, რაც, ძირითად შემთხვევაში, ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებთან თანამშრომლობას გულისხმობს. ჩვენი მიზანია განვიხილოთ რეგიონალური თანამშრომლობის შესაძლებლობები თანამედროვე გეოპოლიტიკური ვითარების უარყოფითი გავლენების შესამსუბუქებლად.

## კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

მე-20 საუკუნის შემდეგ ჩამოყალიბებული რეჟიმები თავს დაესხნენ სამხრეთ კავკასიის მრავალფეროვან კულტურულ მემკვიდრეობას. საბჭოთა სოციალისტური რეალიზმი ცდილობდა წაეშალა ისტორიული და კულტურული ნაკვალევი, რომელიც არ შეესაბამებოდა საბჭოთა ელიტის ხედვას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი, კლანური კაპიტალიზმის ტენდენციებმა კულტურული სივრცეები მოგებაზე ორიენტირებულ საქმიანობებად აქცია. ცხოვრების ყოველსმომცველმა კომერციალიზაციამ კულტურული და მხატვრული ექსპრესია მარკეტინგისა და მასობრივი მოთხოვნის დიქტაგებს დაუქვემდებარა. სამხრეთ კავკასიის სამოგადოებებს შორის ხანგრძლივი პოლიტიკური დაპირისპირებები ერთმანეთის კულტურულ მემკვიდრეობებზე თავდასხმაში გამოიხატა. ჩვენ ვაფასებთ როგორც კულტურული მემკვიდრეობის, ისე თანამედროვე ხელოვნების გადამწყვეტ როლს ჩვენი ცხოვრებისთვის მნიშვნელობის მიცემაში და სამოგადოებებში არსებული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების გამომჟღავნებაში - ეს კავშირი ძალიან ხშირად უგულებელყოფილია. ჩვენ მიზანია სამოგადოების ინფორმირება იმ გამოწვევების შესახებ, რომელთა წინაშეც “კულტურის” სფეროში მოღვაწე პირები დგანან და იმ მნიშვნელოვანი წვლილის შესახებ, რომელიც მათ შეაქვთ ჩვენი პირადი, სოციალური და პოლიტიკური როლების დეკონსტრუქციასა და გააზრებაში.

## სამეზობლო

სამხრეთ კავკასიის მიმართ ჩვენი დაინტერესება ამერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს გასული 100 წლის ურთიერთგადაჯაჭვული ისტორიული გამოცდილებებით არის განპირობებული. თუმცა, კავკასიური საუბრები (CaucasusTalks) ასევე გეგმავს დაამყაროს ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეებთან მეზობელი რეგიონებიდან, ჩრდილოეთ კავკასიის, თურქეთის და ირანის ჩათვლით. სამხრეთ კავკასიასა და მის მეზობელ რეგიონებს შორის სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთმიმართებები ნათელია ყველასთვის, ვისაც მთელ რეგიონში უმოგზაურია და კიდევ უფრო - მათთვის, ვინც მას შეისწავლის. თურქეთში, რუსეთსა და ირანში განვითარებული ისტორიული და თანამედროვე მოვლენები ყოველთვის პირდაპირ გავლენას ახდენდა სამხრეთ კავკასიაზე და სწორედ ეს ურთიერთკავშირი განაპირობებს ჩვენს სურვილს, დავამყაროთ ურთიერთობა ამ ქვეყნების აქტივისტებთან, ჟურნალისტებთან, მკვლევარებთან და მეცნიერებთან.

## დიალოგის პრინციპები

### არავინ იცის ყველაფერი

ჩვენ ვხელმძღვანელობთ ცოდნაზე წარმოდგენით, რომელიც მას მუდმივად გაფართოვებად და გარდაქმნად ცნებად განიხილავს. აქედან გამომდინარე, ყველას ცოდნა, როგორც საკუთარ თავზე, ისე სხვებზე, შეზღუდულია. ჩვენი პლატონორმა აღიარებს ამ პრინციპს და ცდილობს რაც შეიძლება მეტი ინფორმირებული პერსპექტივა წარმოაჩინოს და ამით ცალკეული ინდივიდების ცოდნაში არსებული ხარვეზები ამოავსოს. სხვისი პერსპექტივების მოსმენა საუკეთესო გზაა კომპრომისების მისაღწევად და მრავალმხრივი გადაწყვეტილებების შესამუშავებლად.

### ვისაუბროთ თუ არ ვისაუბროთ?

ჩვენ გვსურს, ადამიანებმა თავიანთი მოსაზრებები გამოხატონ და გამოცდილებები გაუზიარონ ერთმანეთს. ყველა ჩვენგანს აქვს ცრურწმენები და კრიტიკული მოსაზრებებები სხვებზე. ამიტომაც, ჩვენ მხარს ვუჭერთ აგონიზმის იდეას, რომლის მიხედვითაც დადებითი შედეგი შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტური იდეებისგან. თუმცა, დაუშვებელია იდეები, აზრები და მოსაზრებები, რომლებიც არსებითად დისკრიმინაციულია, რადგან მათ რეალური ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანი მოსდევთ. გარდა ამისა, ჩვენ გვჯერა, რომ თავდაჯერებით საუბარი აუცილებლად არ შეესაბამება ცოდნას, რომელსაც ინდივიდი ფლობს გარკვეულ საკითხზე. ჩვენ მოსაზრებებს და აზრებს ვაფასებთ მათი შინაარსის და არა გამოხატვის ფორმის მიხედვით.

### მოვესმინოთ "მეორე მხარეს"

როგორც წესი, ადამიანები ცხოვრობენ კონკრეტული დისკურსული ნარატივების კონტექსტში და რჩებიან საკუთარ ნორმატიულ კომფორტის ზონაში. კომფორტის ზონის დატოვებისა და საერთო საკითხებზე განსხვავებული, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო, მოსაზრების და პერსპექტივების მოსმენის მზაობა მშვიდობიანი თანაცხოვრებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. სხვა პერსპექტივის მოსმენა არ ნიშნავს საკუთარი შეხედულებების და ღირებულებების დათმობას, თუმცა აუცილებლად გულისხმობს სხვების რწმენების და ღირებულებების პატივისცემას და გათვალისწინებას.

### დელიბერაციული დემოკრატია

დელიბერაციული დემოკრატის იდეა ისაა, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ ინფორმაცია და შემდგომ, ინფორმირებულ მოქალაქეებს შეეძლოთ აქტიურად ჩაერთონ დებატებში იმ

პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესახებ, რომელთაც რეალური შედეგები მოსდევთ. ამით განსხვავდება ის წარმომადგენლობითი დემოკრატიისაგან, რომლის პირობებშიც პოლიტიკოსებს მხოლოდ მათი საარჩევნო პლატფორმის საფუძველზე ირჩევენ, რის შემდგომაც, მოქალაქეების როლი პოლიტიკურ პროცესში უმნიშვნელო ხდება. ჩვენ გვსურს შევითვისოთ დელიბერაციული დემოკრატიის გარკვეული ასპექტები ჩვენს პლატფორმაში, რომლის მიზანია განსხვავებული გამოცდილებების მქონე ადამიანების ჩართვა საერთო საკითხების ღიად და ინფორმირებულად განხილვის პროცესში. ვიმედოვნებთ რომ დელიბერაციული დემოკრატიის კულტურა განვითარდება სამხრეთ კავკასიასა და მის მეზობელ რეგიონებში.

## ჩვენი ხედვა

ჩვენი უმთავრესი მიზანია სამხრეთ კავკასიისა და მეზობელი რეგიონების ხალხთა გულებში და გონებაში კეთილდღეობის გრძნობის გაჩენა, ურთიერთპატივისცემის და კონსტრუქციული მსჯელობის, დიალოგისა და განხილვის პროცესის გავლით. ჩვენ წარმოვისახავთ ისეთ სამხრეთ კავკასიას, სადაც ინდივიდუალობა და კომუნალიზმი ერთიანად მიიწვევენ წინ - სადაც ადამიანებს თავისუფლად შეუძლიათ თვითგამოხატვა და თავიანთი კრეატიულობის გამოვლენა, შეუძლიათ თავს გრძნობდნენ იმ საზოგადოების ნაწილად, რომლის ძირითად ეთიკად მიიჩნევა თანამშრომლობა და არა კონკურენცია.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოვიპოვოთ რეგიონის იმ ახალგაზრდა თაობების მხარდაჭერა, რომელთა ამროვნებაც უკვე გაცდა საზღვრებს და რომელთაც სურთ ჩვენთან თანამშრომლობა. თუმცა, ჩვენ არ გვინდა მხოლოდ თანამოაზრეებთან ურთიერთობა და ვცდილობთ განსხვავებული პერსპექტივა შევიგანოთ იმ ადამიანების ცხოვრების სტილში, რომლებიც ერი-სახელმწიფოს შემზღვეული პარადიგმის შიგნით ცხოვრობენ და მუშაობენ.

ჩვენი მიზანია შევეჭიდოთ ზემოთხსენებულ სირთულეებს, როგორც საერთო პრობლემებს, საზიარო გეოგრაფიული, კულტურული, ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური მემკვიდრეობის გათვალისწინებით. ამრიგად, მოსალოდნელია, რომ ეს პლატფორმა არამარტო დიალოგის მეთოდებს შეცვლის და კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტამდე მიგვიყვანს, არამედ ასევე ხელს შეუწყობს ზემოთხსენებული პრობლემების გადაწყვეტის გრანს-რეგიონალური მიდგომის ჩამოყალიბებას შედარებითი და ერთობლივი ანალიზის გზით, რომელიც გვერდს აუვლის ერი-სახელმწიფოს პარადიგმის ვიწრო პორიზონებს.

ჩვენი პლატფორმა მზადაა, დაუკავშირდეს და ითანამშრომლოს იმ ინიციატივებთან და მოძრაობებთან მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რომლებიც გრძნობენ პასუხისმგებლობას ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ საერთო გამოწვევებზე.